საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 395 2018 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის („იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც სავალდებულოა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“) 15[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15[1]

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში:

ა) სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, სამსახურის უფროსის მოადგილე;

ბ) გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე;

გ) ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე;

დ) სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ე) ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ვ) კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ზ) კონტრტერორისტული ცენტრის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

თ) ოპერატიული ღონისძიებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ი) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

კ) სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ლ) ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

მ) კადრების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ნ) ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ო) სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შემავალი მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები;

პ) დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**